ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ01.01200379**

თარიღი:**06/02/2020**

„ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.245) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 4 აპრილის Nბ01.011909416 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-49 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის პირველი, მე-6 და მე-9 პუნქტებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამოღებულ იქნას „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.245) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 4 აპრილის Nბ01.011909416 ბრძანებიდან ბრძანების მე-3 პუნქტი.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გაბა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01200314022**
თარიღი: **31/01/2020**
პინი: **2421**

ადრესატი: ივანე მირცხულავა
პირადი ნომერი: 01024058204
მისამართი: თბილისი წყნეთის გზატ. N 29 ბ. 22

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

მოქალაქე ივანე მირცხულავას პ/ნ01024058204

ბატონო ივანე,

სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 31 იანვრის N 19/01200311671-61 განცხადება და გაცნობებთ შემდეგს:

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული (2016 წლის 9 მარტის N419) განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 აპრილის N18.230.441 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 მაისის N135 განკარგულებების საფუძველზე, ამავე განკარგულებებით გასაზღვრულ ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებს მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცათ ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი N2-ის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5496 კვ. მ (ს/კ : 01.10.06.006.245) მიწის ნაკვეთი.

დანართი: 18 (თვრამეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი